პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 263 (18805) | სამშაბათი, 15 ნოემბერი, 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ᲛᲘᲠᲘᲚᲘ

მთელი ძალები — მიმდინარე სამეურნეო წლის დავალებათა შესასრულებლად!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მიმართავენ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეო-მეთაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების), სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების შრომითის კოლექტივებს, ყველა შრომელს საქართველოს სასახლო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში შექმნილ, უაღრესად დაძაბულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც გამოიწვია მიმდინარე წელს რესპუბლიკაში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა.

მრავალგზისმა ძლიერმა სეტყვამ, გრიგალისებურმა ქარმა, კოკისპირულმა წვიმებმა, წყალდიდობამ, ტემპერატურის მკვეთრმა ცვალებადობამ სეროზულად დააზიანა, ზოგან კი განადგურა ნარგავები და ნათესები 232 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე. ამის შედეგად მეტ ნილ რეგიონებში ათიათასობით კოლმეურნისა და მუშის მრავალი თვის შრომა პრაქტიკულად წყალში გადაიყარა. მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა საწარმოო ნაგებობებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებს, აღმინისტრაციულ და საცხოვრებელ შენობებს. დაზიანდა გზები, ხიდები, საზოგადოებრივ მეურნეობათა სარწყავი სისტემები და სხვა კომუნიკაციები. დაღუპა ასობით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მნიშვნელოვანი რაოდენობის ცხვარი, ღორი და ფრინველი.

რესპუბლიკის მთელ რიგ რეგიონებში კი მრავალწლოვანი ნარგავები, განსაკუთრებით ვენახები, მომავალ წლებშიც კი ვერ მოგვცემს სრულფასოვან მოსავალს.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მოსახლეობის პირადი მეურნეობანი. განსაკუთრებით დაზიანდა მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, გორის, ქარელის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, სიგნაღის, დმანისის, ნინოწმინდის, ბოგდანოვკის და ზოგიერთი სხვა რაიონების მეწოვრეობათა საკარმიდამო ნაკვეთები.

სტიქიურ უბედურებათა შედეგები საგრძნობია.

სტიქიის შემოტევას დაზარალებული რაიონების მოსახლეობამ ნამდვილი გმირობა და თავდადება, დიდი ორგანიზებულობა და დარაზმულობა დაუპირისპირა. ადგილებზე სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის შეიქმნა ოპერატიული შტაბები, რომელთა მუშაობას კოორდინაციას უწევდა მთავრობის სპეციალური კომისია.

დაზარალებულ რაიონებში გაიგზავნა ტექნიკა, ტრანსპორტი, საშენი მასალები, მინერალური სასუქები, ერთწლოვანი კულტურების ხელმეორე თესვისათვის საჭირო თესლი რესპუბლიკის ყველა რაიონიდან. მოკლე დროში 14 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე ხელმეორედ დაითესა მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები, 3 ათას ჰექტარამდე ფართობზე — ბოსტნეული. საკვები კულტურების დიდი ფართობები მარცვლეულს დაეთმო. დაჩქარებული ტემპით განხორციელდა შუალედური და საანგარიშო თესვა.

შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დიდი დახმარება გაუწიეს რესპუბლიკას — გამოუყვეს 1 000 სანაშენე ხბო, 6 000 ნეზავი, 184 ტონა მრავალწლოვანი ბალახების თესლი, მნიშვნელოვანი რაოდენობის საშენი მასალები. კოლმეურნეობებს დამატებით მიეცათ 15 მილიონი მანეთი გრძელვადიანი კრედიტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის მშრომელებს, საზოგადოებრიობას მოუწოდებენ, რაც შეიძლება აქტიური მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე სამეურნეო წლის დავალებათა რეალიზაციაში, რათა მინიმუმამდე შეამცირონ სტიქიური უბედურებით გამოწვეული დანაკარგები.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანები ეკისრება საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, რომელმაც მთლიანად უნდა გამოავლინოს წარმოების უმეტესი ეფექტიანობის მისაღწევად მთელი რესურსების მანევრირების ის შესაძლებლობანი, რომლებსაც შეიცავს მართვის ახალი სისტემა. სტიქიით დაზარალებული ყოველი ცალკე რაიონისათვის უნდა შემუშავდეს უმინიმუმის შედეგების ლიკვიდაციის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა გეგმა, მკაცრი კონტროლი დაუწესდეს მის განხორციელებას.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, შრომითმა კოლექტივებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ერთხელ კიდევ უნდა გადახედონ თავიანთი შესაძლებლობანი, ყოველმხრივ განავითარონ ინიციატივა, აამაღლონ დაკისრებული საქმისათვის პინდვრებისა და ფერმების მუშაკთა პასუხისმგებლობა, მიაღწიონ დადგენილ დავალებათა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებას.

ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ უყაირათობას, მფლანგველობას, მკაცრი კონტროლი დაკუწესოთ მოწეული მოსავლის დაცვა-შენახვას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი დაკარგული კილოგრამი ყურძენი, ჩაი, ხილი, ბოსტნეული, ციტრუსი, კარტოფილი, მარცვლეული შეიძლება სერიოზულ დაბრკოლებად იქცეს მთლიანად ხუთწლიანი გეგმის შესრულების გზაზე. ამ პირობებში მხოლოდ საუცხო დისციპლინა და ორგანიზებულობა შეიძლება გახდეს წარმატების საწინდარი.

მთლიანად რესპუბლიკაში ზარალის მაქსიმალური შემცირებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს დადებითი შედეგები მოპყვა. შესრულებულია ხორცის, რძის, კვერცხის, ჩაის, საშემოდგომო მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამზადების ცხრა თვის საგეგმო დავალებანი. ყველა შესაძლებლობა ხილის, მაჭრის ჭარხლის დამზადების გეგმის შესრულებისათვის. მოწეულია ციტრუსების უნცი მოსავალი.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის სირთულის გათვალისწინებით მახარაძის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, მაიაკოვსკის, ჩხოროწყუს, ხობის, ზუგდიდისა და მთელი რიგი სხვა რაიონების მშრომელებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მეურნეობებმა იკისრეს სოფლის მეურნეობის ზეგეგმითი პროდუქციის წარმოების ახალი ვალდებულებანი.

ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ამ წამოწყებათა ფართო გავრცელებას, გამალონ მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი შრომითი თაოსნობების გაჩენას, რათა უზრუნველყონ მიმდინარე სამეურნეო წლის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების უფუო შესრულება.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის შემოქმედ ინტელიგენციას — მწერლებს, მხატვრებს, ხელოვნებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებს, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკს იყვნენ მოვლენათა შეუგალში და თავიანთი მონაწილეობით, დადებითი გამოცდილების პროპაგანდით ხელი შეუწყონ ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანათა გადაწყვეტას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი, აგროსამრეწველო გაერთიანებანი, შრომითი კოლექტივები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები მაქსიმალურ ძალ-ღონეს მოახმარენ წამოჭრილ სიძნელეთა დაძლევას, ხუთწლედის შესამე, შუაგული წლის, ქართველი და რუსი ხალხების ძმობისა და მეგობრობის 200 წლისთავის წლის დავალებათა წარმატებით განხორციელებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საშუნებლო კონვეიერს — ზუსტი რიტმი

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წელს დაგეგმილი სამშენებლო-მონტაჟო სამუშაოების ფართომასშტაბიანი ფრონტის ერთ-ერთ ძირითადი ობიექტია ალექსანდრეს ორდენანი (მარჯვნივ) დემონსტრირებას უკეთებენ ახალგაზრდულ სპორტულ კომპლექტებს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲐᲡᲚᲘᲡ. ასზე მეტი სახეობის მომსახურებას თავაზობს მოსახლეობას ვორკუტის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი.

დიდი მოწონებით სარგებლობს ვორკუტელებს შორის ტანსაცმელი, რომელიც ექსპერიმენტულ სამკერვალო და ტრიკოტაჟის საამქროების მოდელიორ კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს. ყოველწლიურად ისინი 200-მდე მოდელს ამუშავებენ და 1,5 მილიონი მანეთის მოდურ ტანსაცმელს კერავენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ექსპერიმენტულ-სამკერვალო საამქროს მუშები იოსეფ ერტელი და ალექსანდრა ორდენა (მარჯვნივ) დემონსტრირებას უკეთებენ ახალგაზრდულ სპორტულ კომპლექტებს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. საერთაშორისო საავიაციო ტვირთზიდვის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს დიდი სატვირთო კომპლექსი, რომელსაც საზეიმო ვითარებაში ჩაეყარა საძირკველი მოსკოვის შერემეტიევო-2 აეროპორტში.

აქ განლაგდა სხვადასხვა სამსახური, თვითმფრინავების საღგომი, სპეციალური მოედნები. ყველა ოპერაციის სრული ავტომატიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდება ადრესატებისათვის ტვირთის მიტანის მკვეთრი დაჩქარება. ძიების ელექტრონული სისტემის დახმარებით მანიპულატორები რამდენიმე წუთში იპოვიან და საჭირო ადგილს მიიტანენ შესაბამის კონტეინერებს.

ავტომატიზებული კომპლექსის მშენებლობა განაპირობა ტვირთზიდვის მზარდმა მოცულობამ. ამ ნაგებობის ამოქმედების შედეგად დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი აეროპორტის ტვირთბრუნვა ერთისამად გაიზრდება.

● ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. იჯევანის რაიონში აშენებულმა ბენტონიტური თიხის კომბინატმა მიაღწია საპროექტო სიმძლავრეს — წელიწადში უშვებს რვაას ათას ტონა პროდუქციას. წარმოება ეყრდნობა რაიონში დაზვერილი თიხის ამ ნაირსახეობის უმდიდრეს ბუდობებს.

ბენტონიტის გამოყენების დიაპაზონი ძალზე ფართოა. საწმენდ საშუალებად მას იყენებენ მენავთობეები, გაზმომპოვებლები, გეოლოგები, მეტალურგები, კვებისა და ცხიმზეთების საწარმოები. პირუტყვის კომბინირებულ საკვებში ბენტონიტის ფბვნილის დამატება ხელს უწყობს მათ სწრაფ ზრდას და პროდუქტიულობის მატებას.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. კრომანიონელი ადამიანის — თანამედროვე ტიპის უძველესი ადამიანის პორტრეტული გამოსახულება შეგიძლიათ იხილოთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში. კოსტენკაში პირველყოფილი ადამიანის ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ხადგომის გათხრებისას მეცნიერებმა იპოვეს ქალის მინიატურული ქანდაკება, რომელიც მამონტის ეშვისაგან არის გაკეთებული.

გასულ ზაფხულს კოსტენკაში იპოვეს მთელი რიგი ნაგნები, რომლებიც საშუალებას იძლევა შევავსოთ ქვის ხანის ქალის საერთო გარეგნობა. ეს გახლავთ მამონტის ძვლის დიადემის ნაშთი, თეთრი მელიის გაბურღული ეშვები, რომლებითაც გაწყობილი იყო ქალის ტანსაცმელი, მოჩუქურთმებული თმის სარჭები და სხვა. ნაპოვნები საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ლენინგრადელმა არქეოლოგებმა პირველყოფილი ადამიანის ძვლის დასამუშავებელი ხახელსნნოს ნაშთს მიაგნეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ლენინგრადელ არქეოლოგთა უკანასკნელი ექსპედიციის ნაპოვნები კოსტენკაში.

ს. სმოლენსკაის ფოტო (საკდისის ფოტოქრონიკა).

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

- ● ᲛᲝᲜᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲯᲠᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲢ ᲣᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲤᲘᲠᲝᲔᲑᲘᲗ. (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).
- ● ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲐᲠᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲒᲐᲣᲚᲘᲚᲐᲓ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲔᲜ. (ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).
- ● ᲐᲒᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ — ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲘᲓᲔᲚᲘ. (ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).
- ● ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ. (ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).
- ● ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲓᲠᲝᲨᲔᲝᲑᲐ. (ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).
- ● ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. (ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).
- ● ᲒᲖᲐᲓᲐᲒᲖᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲗ. (ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲥᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲗᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ამიერკავკასიის რკინიგზა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდგდა. ჯილდოს გადაცემასთან დაკავშირებით თბილისში იმყოფებოდა სსრ კავშირის გზათა მინისტრის მოადგილე ა. ტ. გოლოვატი. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა მას ეპასუხა ზოგიერთ კითხვაზე.

— სასიხარულოა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზამ ტრანსპორტის მუშაობისადმი მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნების პირობებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა დარგის საწარმოთა შეჯიბრებაში. როგორ გგონიათ, რამ განაპირობა, სახელდობრ, წარმატების მიღწევა?

— უწინარეს ყოვლისა შეგახსენებთ რკინიგზის საქმიანობის უმთავრეს მაჩვენებლებს: გადაჭარბებით შესრულდა როგორც მესამე კვარტლის, ისე ათი თვის დავალებანი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. სამი უკანასკნელი თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გაიგზავნა დაახლოებით სამასი ათასი ტონა სხვადასხვა ტვირთი, ნავთობის ტვირთის დატვირთვის დავალება გადაჭარბებულია 65 ათასი ტონით, მაგნუმის მადნისა — 24 ათასი ტონით, ქმიკატების და სოდისა — 15 ათასი ტონით. გაუმჯობესდა ვაგონების ტვირთამწეობისა და ტევადობის გამოყენება, რამაც შესაძლებელი გახადა დამატებითი დატვირთვისთვის გაგვეთავისუფლებინა 3580 ვაგონი. ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის გეგმები შესაბამისად 0,6 და 2,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. ელექტროენერგიის ეკონომიამ შეადგინა 2154 ათასი კილოვატსაათი.

მთავარი ის არის, რომ ყველა ეს წარმატება მიღწეულია ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, თანაც ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უსწრებს ხელფასის ზრდის ტემპს. მოძრავი შემადგენლობის გამოყენების გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი რეზერვი გახდა მძიმე წონის მატარებლების მასობრივი ტარება — წლის დამდეგიდან გაგზავნილია 6120 ასეთი მატარებელი, გადაზიდულია ნორმის გადაჭარბებით ორ მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი.

— ეტყობა, მძიმე წონის მატარებლების ტარება იოლი საქმე არ უნდა იყოს...

— უდავოდ. მაგრამ რკინიგზაზე მუშაობს ბევრი გამოცდილი მემანქანე, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ შესწევთ მძიმე წონის მატარებლების ტარების უნარი. ესენი არიან თავიანთი საქმის ცნობილი ოსტატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ელიაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. გუბაზი, ნ. კაკაბაძე და სხვები. წარმატებას უზრუნველყოფს რკინიგზის კონვეიერის ყველა მუშაკის მაღალი კვალიფიკაცია და ასევე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

რკინიგზის ხელმძღვანელობა, პარტიული ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწევიან შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. მაგისტრალის ყველა შრომელს უნდა ჰქონდეს შეგნებული, თუ რაოდენ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა რკინიგზის საწარმოებში სანიმუშო წესრიგის და მაღალი ორგანიზებულობის უზრუნველსაყოფად, გადაჭრით აღკვეთონ დისციპლინის ყოველგვარი დარღვევები.

— როგორია ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკური სრულყოფის პერსპექტივები?

— ახლა მაგისტრალზე მიმდინარეობს დიდი სამუშაოები მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებისათვის, შენდება მეორე ლიანდაგები, მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე დაიგო 125 კილომეტრი ლიანდაგი, აქედან 46 კილომეტრი — მშენებელთა და თვით მელიანდაგეთა ძალებით. ვითარდება სადგურები და. კვანძები, განსაკუთრებით სამტრედიისა. რეკონსტრუირებულია მთელი რიგი სხვა სადგურები, სადაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე დაიგო მატერიალური ტიპის ლიანდაგი და 67 კილომეტრით დაგრძელდა სადგურის ლიანდაგები. მიმდინარეობს თითქმის ყველა სალოკომოტივო დეპოს რეკონსტრუქცია, შენდება სავაგონო დეპო ხაშურში, ვაგზალი თბილისში, უმჯობესდება საყრდენი სადგურები. მიმდინარეობს მზადება ტრანსკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობისათვის, და ყოველივე ეს ხდება ეკსპლოატაციის პარალელურად, რაც, ბუნებრივია, მუშაობის დამატებითს სიძნელეებს იწვევს.

— ამიერკავკასიის რკინიგზა საკურორტო მიმართულების მაგისტრალიც არის. როგორ წარმართება მისი საქმიანობის ამ სფეროს სრულყოფა?

— უკანასკნელ წლებში განხორციელდა ღონისძიებანი მგზავრთა კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად, და ამ დარგში არსებითი დადებითი ძვრები დაისახა. მაგრამ ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია. ამოცანა ის არის, რომ თავიდან აავიცილოთ მგზავრებს წვალება და დროის კარგვა ბილეთის შესაძენად. ასევე აუცილებელია მივაღწიოთ სამგზავრო, მთა შორის, საგარეუბნო მატარებლების მოძრაობის გრაფიკების მტკიცე დაცვას.

რკინიგზის კოლექტივმა, თქვა დასასრულ ა. ტ. გოლოვატმ, ბევრს მიაღწია და ახლა მისი ვალია დაამკვიდროს მიღწეული, გადაჭრით აღმოფხვრას ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყოს მომდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება.

(საქინფორმი)

ᲒᲐᲜᲘᲠᲐᲯᲘᲠᲔᲑᲐ ᲠᲒᲘᲢᲐᲖᲔ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 13 ნოემბერი. (საკდისი). დღეს ერთობლივი ფრენის პროგრამის დამთავრების შემდეგ მოსკოვის დროით 06 საათსა და 08 წუთზე „პროგრეს-18“ ავტომატური სატვირთო ხომალდი გამოეყო „სალუტ-7“ — „სოიუზ ტ-9“ პილოტირებულ კომპლექსს. განპირიპირებას და ხომალდის გამოსვლას კონტროლს უწევდნენ ფრენის მართვის სპეციალისტები და კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი.

ერთობლივი ფრენის დროს მთლიანად შესრულდა ყველა დაგეგმილი ოპერაცია, მათ შორის სატრანსპორტო ხომალდის გადმოცლა, გაერთიანებული ძრავის დანადგარის სათბობით კმაგაწყობა და სასმელი წყლის გადატუმბვა სადგურის საცავებში. გარდა ამისა, ხომალდის ძრავის მეშვეობით განხორციელდა ორბიტული კომპლექსის ფრენის ტრაექტორიის კორექცია.

ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი უკვე 140-ე დღეა დაფრინავენ კოსმოსში. დღეს „სალუტ-7“ — „სოიუზ ტ-9“ პილოტირებული კომპლექსის ეკიპაჟი ისვენებს.

პარასკევს მოწყობილი კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევის შედეგების თანახმად, ორივე კოსმონავტი თავს კარგად და ჯანმრთელად გრძნობს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი აწყობენ სამეცნიერო სესიას, რომელიც ეძღვნება რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნისა და ამბავრის არალეგალური სტამბის დაარსების 80 წლისთავს.

სესია გაიმართება 1983 წლის 16 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. 29). დასაწყისი დღის 4 საათზე.

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს კონფერენციები

პრობლემები ელის გადაჭრას

არჯოლის ხეობაში პირველი აფეთქების ხმა რამდენიმე წლის წინათ გაისმა. მძლავრი ბულდოზერები, ექსკავატორები, გრეიდერები ეკვეთნენ მთებს. დადგა ქამი მძიერემიწიანი ხარაგაულელი გლეხკაცის დიდი ხნის ნატვრის აღსრულებისა. სოფელ მარელისიდან „რკინის ჯვრის“ მთამდე 30-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობა უკვე დამთავრდა. ლეონიდენმა და ფარცხნალელმა კოლმეურნეებმა წლეულს მთიდან ამ გზით 400 ტონა თივა ჩამოიტანეს.

ეს ერთ-ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომლებიც დასახულია ჩვენი რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის მიერ მთიანი ორჯონიკიძის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადასაჭრელად.

პრობლემები კი მართლაც ბევრი აქვთ აქაურ მევენახეებს, მხვნელ-მთესველებს და მეცხოველეებს... მცირე ფართობის საკარგულები, რთული რელიეფი აძნელებს მექანიზაციის გამოყენებას. თუმცა აქ არც ტექნიკით არიან განებივრებულნი, რადგან სამთო მანქანები ჯერჯერობით ნახატებში თუ უნახავთ.

ორჯონიკიძელები სამთო მიწათმოქმედების კურსს დაადგნენ. სოფანძილე-ბარდნალის გზის გაყვანით 200 ჰექტარი სათიბ-საძოვარი ხალხის სამსახურში ჩადგა. 13-კილომეტრიანი საურმე გზის გაფართოებით ვარძიელმა კოლმეურნეებმა ჭოდის მთის სანახებში 50 ჰექტარზე დათესეს სიმინდი, ხოლო საქსარიელმა მშრომელებმა ქარგი სასენაქე მასა მოიწიეს შავრას მთაზე 80 ჰექტარი ზვრის ნათესდან.

დიახ, რაიონის მშრომელები კომუნისტთა თავკაცობით უმკლავდებიან სიძნელეებს, განწყობილებაც ოპტიმისტური აქვთ. არჯოლის ხეობაში გაჭრილი გზა კვლავ გრძელდება „ტბისა“ და „ლომის“ მთებამდე, რითაც დამატებით აითვისებენ 3.000 ჰექტარ სათიბ-საძოვარს. სახელარში დაწყებულია თივის საზიდი ორკილომეტრიანი საბაგირო გზის მშენებლობა, დღის წესრიგშია მთის სავარგულების ათვისება „საძროხეში“, „სამეგობრავროში“, „სამშვლეში“, „სახადზე...“

სწორედ მათ წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების განხილვისათვის, საანგარიშო პერიოდში გაწეული პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის ანგარიშგებად ინაალიზისათვის განეწყვნენ ორჯონიკიძელ კომუნისტთა რჩეულები ამ დღეებში გამართულ რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე.

კოლექტიური აზრით

პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება მრავალმხრივად, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად შემუშავდა. მთავარი ყურადღება დაეთმო ნაკლოვანებათა გამომწვევ სუბიექტურ ფაქტორებს, რომელთა შესახებ საკუთარ მოსაზრებათა გამოთქმა დაეკალათ რაიკომის მთელ შემადგენლობას, ბიუროს ყველა წევრს, სამეურნეო ხელმძღვანელებს.

კოლექტიური აზრით შემუშავებული მოხსენება წინასწარ გაცნეს რაიკომის წევრებს. მისი განხილვისათვის რომ ნამდვილი პარტიული პრინციპულობა და დემოკრატიული ხასიათი მიენიჭებინათ, გადაწყდა იგი ზონების მიხედვით პარტიული კონფერენციის დელეგატებს წაეკითხათ. ამ პრაქტიკამ გაამართლა. ჯგუფებად შეკრებილმა დელეგატებმა უფრო მეტი სითამამე და აქტიურობა გამოიჩინეს, თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს სხვადასხვა პრობლემის გამო. საქმიანად, კრიტიკულად შეაფასეს საკუთარი შრომითი კოლექტივების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ცალკეული კომუნისტების საქმიანობა, თანაც დელეგატებმა კონფერენციისათვის ბევრი რამ უკეთ მოიფიქრეს.

მართლაც, კონფერენციამდე დარჩენილ დღეებში მრავალი მოსაზრება, შენიშვნა და წინადადება მიიღო პარტიის რაიონულმა კომიტეტმა. რაიკომის ბიუროს წევრები დაწვრილებით გაეცნენ მათ, რომელთაგან ბევრი გათვალისწინებულ იქნა საანგარიშო მოხსენების საბოლოო ვარიანტებისათვის, ზოგმა კი კონკრეტული ასახვა პოვა რეზოლუციის პროექტში.

რით იზომება ძმედითობა?

სჯა-ბაასი ობიექტური, უშეფავათო იყო. მას ტონი მისცა მოხსენებამ. —

— ბოლო ათწლეულში, —აღნიშნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. დევდარიანმა, საქართველოს კომპარტიის აცნეს რაიკომის წევრებს. მისი განხილვისათვის რომ ნამდვილი პარტიული პრინციპულობა და დემოკრატიული ხასიათი მიენიჭებინათ, გადაწყდა იგი ზონების მიხედვით პარტიული კონფერენციის დელეგატებს წაეკითხათ. ამ პრაქტიკამ გაამართლა. ჯგუფებად შეკრებილმა დელეგატებმა უფრო მეტი სითამამე და აქტიურობა გამოიჩინეს, თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს სხვადასხვა პრობლემის გამო. საქმიანად, კრიტიკულად შეაფასეს საკუთარი შრომითი კოლექტივების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ცალკეული კომუნისტების საქმიანობა, თანაც დელეგატებმა კონფერენციისათვის ბევრი რამ უკეთ მოიფიქრეს.

მართლაც, კონფერენციამდე დარჩენილ დღეებში მრავალი მოსაზრება, შენიშვნა და წინადადება მიიღო პარტიის რაიონულმა კომიტეტმა. რაიკომის ბიუროს წევრები დაწვრილებით გაეცნენ მათ, რომელთაგან ბევრი გათვალისწინებულ იქნა საანგარიშო მოხსენების საბოლოო ვარიანტებისათვის, ზოგმა კი კონკრეტული ასახვა პოვა რეზოლუციის პროექტში.

რით იზომება ძმედითობა?

სჯა-ბაასი ობიექტური, უშეფავათო იყო. მას ტონი მისცა მოხსენებამ. —

— ბოლო ათწლეულში, —აღნიშნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. დევდარიანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ყურადღებითა და ხელმძღვანელობით ორჯონიკიძის რაიონის პარტიული ორგანიზაცია თანამიმდევრულად იღვწოდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად, პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განსამტკიცებლად. მთელ ამ მუშაობას მეტი გაქანება და მიზანმიმართულება შემატა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა და დასკვნებმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა გაწეული მუშაობის მთავარ საზომად მიიჩნიეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ზომა-წონაში მოტყუების, დეფიციტური საქონლის გადამალვის, უხეშობის ფაქტები. ხშირად მაღაზიები გამოკეტილია, განსაკუთრებით ზნაურის და ჯავის რაიონებში.

საოლქო სამომხმარებლო კავშირში 1.242 კაცი მუშაობს, მათგან 188 საშუალო და სპეციალური განათლებისაა, 91-ს აქვს უმაღლესი განათლება. ბოლო წლებში ვაჭრობაში მოვიდა ახალგაზრდობა, აქ 205 კომკავშირელი და 91 სკკპ წევრია. ეს დიდი ძალაა ვაჭრობის მაღალ დონეზე მოსაწყობად; მაგრამ საოლქო სამომხმარებლო კავშირის სისტემაში მოუშავეთა ძირითადი ნაწილი არ სწავლობს. ეს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ ბევრ ადგილას ვერ ააშენეს ლენინგორის სავაჭრო ცენტრი.

საოლქო სამომხმარებლო კავშირმა, სკკ კავშირის ხელმძღვანელობასთან ერთად მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კვაისს. პარტიისა და მთავრობის სპეციალური დადგენილებით კვაისში დიდი მშენებლობაა, სახეს იცვლის დაბა. სამომხმარებლო კავშირის მხრივ აქ გათვალისწინებული არ არის არც ერთი სავაჭრო ობიექტის ან სასადილოს აშენება.

რაკიდან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაზე ლაპარაკობთ, აქვე უნდა შევეხოთ იმ მტკივნეულ საკითხს, რის გამოც იქმნება დიდი უხერხულობა. მუშაობის ნორმალურ ორგანიზაციისა და ადამიანთა ადეკვატური ანაზღაურებისათვის ეს ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ეს ფაქტორი ბევრ ადგილას ფეხს ითელავს. ბევრ ადგილას ბაზა ისეა, ან ისეთ ადგილას, ან ისეთ ფორმატშია, ან ისეთ ფერადია, ან ისეთ ფასიანია, ან ... ეს ... ეს ... ეს

რევოლუციური წარსულის ძეგლი



80 წლის წინათ, 1903 წლის დამლევს, თბილისში ამოქმედდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა, რომელიც გახდა ბოლშევიკური კონსპირაციის შესანიშნავი ნიმუში, ამიერკავკასიაში ბოლშევიკური არალეგალური ლიტერატურის გამოცემის მძლავრი ბაზა.

ამ სტამბის ორგანიზაცია დაიწყო იმ დროს, როდესაც რსდმპ II ყრილობაზე ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა ბოლშევიკურ პარტიას. ეს იყო ბობოქარი დრო — მუშათა პოლიტიკური გაფიცებისა და დემონსტრაციების, დრო, როცა განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება რევოლუციურ ლიტერატურაზე. პარტიის II ყრილობის სპეციალური რეზოლუცია მიზნად ისახავდა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ლიტერატურის შექმნას, პარტიის პროგრამის და ტაქტიკის საკითხებზე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციათა პოპულარიზაციას. ამისათვის კი საჭირო იყო მძლავრი პოლიგრაფიული ბაზა. 1903 წლის ზაფხულში გაჩაღდა მუშაობა ამიერკავკასიაში ორი დიდი არალეგალური სტამბის შესაქმნელად: ბაკოში—რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სტამბისა და თბილისში —რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის სტამბის შესაქმნელად.

თბილისში არალეგალური სტამბის ორგანიზაცია დაეკისრა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრს მიხეილ (მიხო) ბოჭორიძეს, რომელსაც ამ საქმეში მნიშვნელოვანი გამოცდილება ჰქონდა. მან სტამბის ასაშენებლად აირჩია მიწის ნაკვეთი თბილისის იმხანად ნაკლებად დასახლებულ გარეუბნში — ავლაბარში. ეს მიწის ნაკვეთი იჯარით ჰქონდა აღებული მ. ბოჭორიძის მეგობარს — ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ყოფილ მუშას დავით როსტომაშვილს. მან უსასყიდლოდ დაუთმო მიწის ნაკვეთი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს სახლის ასაშენებლად, და ამისათვის ნებართვის მიღებაც ითავა. 1903 წლის 7 ოქტომბერს ქალაქის გამგეობამ დ. როსტომაშვილს

ავლაბრის არალეგალური სტამბის 80 წლისთავისათვის

მისცა ასეთი ნებართვა და დაამტკიცა სახლის პროექტი. მ. ბოჭორიძემ რევოლუციონერ მუშებთან ერთად შეიმუშავა თავისი პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო სახლის ქვეშ ღრმა სარდაფის გაკეთება, რომელსაც ჭიდან ექნებოდა შესასვლელი.

რევოლუციონერები — დურგლები ძმები ალექსანდრე, ვანო და ნიკო ჩოდრიშვილები, კალატოზები — ძმები მირიმან და თედო მაღრაძეები ენთუზიაზმით შრომობდნენ მშენებლობაზე, მოიწვიეს აგრეთვე დაქირავებული მუშები, მაგრამ მათ არ იცოდნენ მშენებლობის ნამდვილი მიზანი და ფიქრობდნენ, რომ შენდება საცხოვრებელი სახლი საყინულისათვის გათვალისწინებული დიდი სარდაფით.

ამ საკმაოდ რთული ნაგებობის მშენებლობა მოკლე დროში დამთავრდა.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ სახლის ოფიციალურმა პატრონმა დ. როსტომაშვილმა სახლი „მიაქირავა“ ფიქციურ პირს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშას ხერხაშვილს. სინამდვილეში ამ გვარით აქ ცხოვრობდნენ ავლაბრის სტამბის მუშაკები.

სხვადასხვა დროს სტამბაში მუშაობდნენ რევოლუციონერები — ასოთამწყობები ერასტი (ჭიჭიკო) კალანდაძე, ტიგრან ვახტანგოვი, მაკარ და მანასე გოგუაძეები და სხვები. სტამბის „დიასახლისი“ იყო მ. ბოჭორიძის დეიდა — ბაბე ბოჭორიძე, ხოლო მუშაობის შეწყვეტამდე ბოლო ორი თვის მანძილზე — მაკარ გოგუაძის მეუღლე—მარო.

სტატიებს, ბროშურებსა და ფურცლებს სხვადასხვა კონსპირაციულ ბინაში წერდნენ და რედაქციას უკეთებდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები ი. სტალინი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი, ვ. ბობოროსკი, ფ. მახარაძე, ს. ხანოიანი და სხვები.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა არალეგალური ბოლშევიკური გაზეთები „პროლეტარიატის ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, ბროშურები, პროკლამაციები.

გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ“ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში ლენინის იდეების დაცვასა და პროპაგანდაში. 1905 წელს აქ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატიები „მესამე ყრილობა“, „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“, „III ყრილობის რეზოლუცია კავკასიის ამბების გამო“; ბროშურებად გამოიცა ვ. ი. ლენინის შრომები „სოფლის ღარიბებს“, „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“, „ცნობა რსდმპ III ყრილობის შესახებ“ ყრილობაზე მიღებული მთავარი რეზოლუციებით, ფურცელი „სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა“, „უმრავლესობის ტამერფორსის კონფერენციის რეზოლუცია აგრარული საკითხის შესახებ“. გარდა ამისა, სტამბაში დაიბეჭდა პარტიის II ყრილობის მიერ მიღებული „რსდმპ პროგრამა“, პარტიის III ყრილობის მიერ მიღებული „რსდმპ წესდება“, აგრეთვე ბროშურები: ი. სტალინის „მოკლედ პარტიულ უთანხმოებებზე“ და „ორი შეჯახება“, მ. ოლმინსკის „ახალ გზაზე“ და „ოპორტუნიზმის ნაირსახეობა“, შ. დიკტეინის „ვინ რით ცხოვრობს?“, მრავალი პროკლამაცია და სხვა.

სტამბის მუშაობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში. არასრული მონაცემებით, იანვრიდან ნოემბრამდე სხვადასხვა გამოცემათა საერთო ტირაჟმა 280 ათასს მიაღწია.

ბეჭდვითი პროდუქცია დაუყოვნებლივ ვრცელდებოდა რევოლუციურად განწყობილ მშრომელთა ფართო მასებში. ამ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციონერები გიგო ლელაშვილი, კამო (სამონ ტერ-პეტროსიანი), მოსე კვარაცხელია, მარტიროს მარაქიანი, მარო ბოჭორიძე-ჩიტიშვილი, ელისო ლომინაძე და სხვანი.

სტამბის საგამომცემლო საქმიანობა ორ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. აქ გამოშვებული ბოლშევიკური ლიტერატურა, რომელიც ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთაც იგზავნებოდა, ხელს უწყობდა მშრომელი მასების პოლიტიკურ განათლებას, მათს აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებას, ბოლშევიკური ორგანიზაციების შეკავშირებასა და განმტკიცებას. ფართოვდებოდა ცარიზმის და კაპიტალიზმის დამხობისათვის, ექსპლოატატორთა დამქაშების —ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი.

მეფის მოხელენი საიდუმლო მოხსენებებში შეშფოთებით აღნიშნავდნენ, რომ ბოლშევიკური ლიტერატურა უდიდეს გამარვლოლუციურებელ გავლენას ახდენდა მასებზე, და ყოველნაირი ღონისძიებით ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად აღმოეჩინათ არალეგალური სტამბა. 1906 წლის 15 აპრილს ჟანდარმებმა იგი აღმოაჩინეს და დაარბიეს.

1935 წლის 16 ნოემბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ავლაბრის არალეგალური სტამბის, როგორც ბოლშევიკური ბეჭდვითი ტექნიკის შესანიშნავი ძეგლის, დაწგრეული შენობის რეტავაციის შესახებ. 1937 წლის 20 აგვისტოს სტამბის შენობა გაიხსნა. მას შემდეგ 26 კომისრის რაიონის კასპის ქუჩაზე №7 სახლი დაათვალიერა ხუთ მილიონზე მეტმა კაცმა — საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის მშრომელებმა. ავლაბრის სტამბა (ამჟამად მუზეუმი — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის განყოფილება) რევოლუციური წარსულის ძეგლია, რომელიც სამუდამოდ შევიდა ბოლშევიკური პარტიის გმრეულ ისტორიაში.

ზ. გეგეშიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
(საქინფორმი).

●●

სურათზე: გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გამოდიოდა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში. (ფოტომონტაჟი).

ტაძს უკრავდა გულგარეთი

სოფია, 14 ნოემბერი. (სატასი). საქართველოს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივმა ბულგარეთში გასტროლები დაამთავრა ბ. ბრეხტის პიესის „კავკასიური ცარცის წრის“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლით, რომელიც სოფიის მაყურებლებს უჩვენა. ბულგარეთის რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას დიდ უყურადღებას უთმობენ ადგილობრივი გაზეთები.

მაგალითად, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელომ“ დაბეჭდა რეცენზია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ამ თეატრის შემოქმედებითს საქმიანობაში ახლანდელი ეტაპი დაკავშირებულია რეჟისორ რ. სტურუას სახელთან. თავის სცენურ ნამუშევრებში, ნათქვამია რეცენზიაში, იგი შემოქმედებითად აკითარებს კლასიკურ ტრადიციებს, უნარიანად უხამებს მათ თანამედროვეობას.

ქართული თეატრის ძალა, წერს მეორე ბულგარული გაზეთი „ნაროდნა კულტურა“, სწორედ ასეთი არტისტულობაა. თავის კონკრეტულ გამოხატულებას ეს პოეტობს სცენური თავისუფლებით, ხალხური ხელოვნების უნივერსალობისადმი მისწრაფებით. ქართველ მსახიობთა თამაში გამოირჩევა ფსიქოლოგიური ნანატის სიზუსტითა და გამომსახველობით.

კვლავაც ადამიანთა სამსახურში

ქართული დიზაინი 20 წლისაა

დიზაინი ინგლისური სიტყვაა და დაპროექტებას, ხაზვას, ეგეგმას, ჩანაფიქრს ნიშნავს. თვით ტერმინი საგანთა დაპროექტების პროცესისადმი ახალ მიდგომას გულისხმობს. როგორც მიმდინარეობა, იგი ჩვენი საუკუნის დამდეგს იშვა და თანდათან გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

თანამედროვე დიზაინი შემოქმედების ახალი სახეობაა, სინთეზური პროფესიაა, რომელიც მხატვარ-კონსტრუქტორთა გარდა, სოციოლოგების, ერგონომისტების, ფსიქოლოგების, ინჟინერ-ეკონომისტებისა და ტექნიკური დარგის სხვა მუშაკების ერთობლივ თანამშრომლობას მოითხოვს.

თავდაპირველად დიზაინი მხოლოდ სამრეწველო პროდუქციის ესთეტიკურ თვისებათა დაპროექტებას ითვალისწინებდა, დღეს კი წარმოების ფუნქციონირებას, მოხმარების საგნობრივ გარემოში ადამიანის არსებობის ოპტიმალური პირობების შექმნის პრობლემებს წყვეტს.

ჩვენი ხალხური შემოქმედების ნიმუშების ერთი თვალის გადაგლებაც კი გვარწმუნებს, რომ ქართულ დიზაინს საუკუნეთა წიაღში უდგას ფესვები. ხალხურ ნაკეთობათა ოსტატებისა და ხელოსნების მიერ შექმნილი საყოფაცხოვრებო ნივთები მუდამ გამოირჩეოდა არა მარტო ფუნქციური დანიშნულებით, არამედ ფორმის სრულყოფით, სისადავითა და მხატვრული გადაწყვეტის მაღალი დონით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე თბილისში ჩამოყალიბებულმა მხატვრული კონსტრუირების ჯგუფმა, რომელიც შემდგომ ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალად ჩამოყალიბდა, დიზაინის განვითარების ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ჩვენში.

ფილიალი უკვე წარმატებით აწარმოებს გამოკვლევებს ტექნიკური ესთეტიკისა და ერგონომიკის სფეროში, მუშავებს სამრეწველო ნაწარმისა და მთელ რიგ სამრეწველო კომპლექსთა მხატვრული კონსტრუირების პროექტებს, სწავლობს და ქმნის საწარმოო გრაფიკის ნიმუშებს, ახდენს სახელმწიფო ხარისხის ნიშნაზე წარდგენილ ნაკეთობათა ექსპერტიზას.

ამ დღეებში ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში მოეწყო შემოქმედებითი კონფერენცია, რომელიც ინსტიტუტის დაარსებისა და ქართული დიზაინის 20 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ი. სოლოგიოვი, მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული ამავე ინსტიტუტის ფილიალის დირექტორები, აგრეთვე საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე ნ. მგალობლიშვილი, თბილისკალაქპროექტის მთავარი არქიტექტორი გ. კანდელაკი, ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორი ო. შატბერაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოზარდთა ფსიქოლოგიის კათედრის გამგე ა. ბაინდურაშვილი, სამხატვრო კომბინატის მთავარი მხატვარი მ. აბაშიძე, სხვადასხვა დამკვეთთ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები და სხვანი.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ი. სოლოგიოვმა, რომელმაც გულითადად მიიღოდა დამსწრეთ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და შემდგომი წარმატებები უსურვა.

ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ნ. შოშიტაიშვილმა თავის სიტყვაში გულითადად მოიხსენია ქართული დიზაინის პიონერები, ილაპარაკა ოცი წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებზე.

ჩვენი ფილიალი რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ორგანოების მუდმივი ზრუნვით არის გარემოსილი. სწორედ ამ სისტემატური ყურადღებისა და სათანადო დახმარების შედეგია ის, რომ უკანასკნელ წლებში ძალზე გაიზარდა იმ სამუშაოთა რიცხვი, რომელთაც ინსტიტუტი რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებათა დაკვეთით ასრულებს. საშუალოდ ეს მაჩვენებელი წელიწადში 60-70 პროცენტს აღემატება და ღღითი ღღე იზრდება. ინსტიტუტს შემოქმედებითი და საქმიანი კონტაქტები **აქვს** საქართველოს მხატვართა და არქიტექტორთა კავშირებთან, მთელ რიგ სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო ინსტიტუტებთან, ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემის, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროებთან.

ინსტიტუტი დიდ ადგილს უთმობს სამსახურებთან თანამშრომლობას. დღესდღეობით 14 მხატვრული კონსტრუირების ჯგუფი მოქმედებს, რომელთაც მეთოდიკურ დახმარებას უწევენ ფილიალის წამყვანი დიზაინერები.

ინსტიტუტი ყოველმხრივ ითვალისწინებს, რომ დღენიადაგ იზრდება მომხმარებლის მოთხოვნილებანი საყოფაცხოვრებო საქონელზე, რომ მას ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ზოგიერთი საწარმოს პროდუქცია და ცდილობს უახლოეს მომავალში შეიტანოს ცვლილებანი ამ სფეროში მსგავსი ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით. ინსტიტუტი ამ მიმართულებით ერთობლივ მუშაობას ეწევა ავტომობილთა ქარხნებთან, ელექტროტექნიკურ ქარხნებთან, ელექტრონული ტექნიკის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ტელევიზიის, ელექტრონული ინდუსტრიის, ელექტროენერგეტიკის, ელექტროტექნიკური ინდუსტრ



ᲡᲬᲣᲠᲐᲓ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲗᲐᲜ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ, 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (საქინფორმის კორ.). საღღესასწაულოდ მორთულა სოფელი მარნაანი. ავდრის მიუხედავად წითელწყაროს რაიონის თითქმის ყველა მცხოვრებმა, თბილისიდან, რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, მეცნიერებმა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელმა მუშაკებმა კვირას თავი მოიყარეს ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ ფიროსმანობაზე.

მარნაანელებმა ღია ცის ქვეშ მოაწყვეს სამეცადინო ფიჯიანი ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც ხალხური ხელმარჯვე ოსტატები უჭირავნებდნენ თავიანთ ხელოვნებას, სოფლის მეურნეობის მშრომელებს კი უხვად გამოეტანათ ბოლვეულების ბარაქა — თავიანთი შრომის ნაყოფი.

რაიონი ღირსეულად შეხვდა დღესასწაულს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის, სოციალისტიკონომიკური განვითარების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის წითელწყაროს რაიონი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა.

დიდი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის უკვდავებაზე, რაიონის მშრომელთა წარმატებებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში. პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა გივი ჯარაქაშვილმა, ზემო მახჩაანის საშუალო სკოლის მასწავლებელმა იზოლდა ფიროსმანაშვილმა მოწინავე კოლმეურნემ შოთა გოგრაშვილმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ოთარ ეგაძემ, ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ანზორ მაძღარაშვილმა და სხვებმა.

აქვე ფასიანი საჩუქრები გადაეცეს სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს — მწველავ ზაირა ალხანიშვილს, მძღოლს ეუღვერ ყარალაშვილს, მეღორე თებრო ქორთოშვილს და სხვებს.

სახალხო ზეიმის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი და სგგმოფენო დარბაზი, სადაც მხატვრის ნაწარმოებებთან ერთად პირველად მოეწყო ზორრი მხატვრების — თბილისელი მოსწავლის მაია ყაჯრიშვილისა და წითელწყაროს რაიონის სკოლების მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, მხატვარ გრიგოლ ჩირინაშვილის ნამუშევართა ექსპოზიცია „ჩემი თბილისი და ფიროსმანი“.

ფიროსმანობა — შრომისა და ხელოვნების ეს დღესასწაული დაადგერგვინა მხატვრულ კოლექტივთა გამოსვლებმა, სპორტულმა შეჯიბრებებმა და „ბერიკაობამ“.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜ: ფიროსმანობა სოფელ მირნაანში.

Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-98-08, 99-08-09, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲚᲘ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲐᲠᲐᲩᲘᲜᲐᲢᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 98-22-98, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲣᲛᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — 98-20-84, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 98-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲪᲘᲡᲘᲡ — 98-27-56, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲫᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲪᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — 99-95-29, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 98-16-90, ᲡᲣᲚᲮᲘᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 98-28-54, ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 98-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲘᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 202-94-92; ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ — 2-40-19; ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ — 2-41-69; ᲡᲔᲣᲜᲯᲐᲚᲘ — 2-22-52; ᲒᲠᲐᲜᲘ — 5-26-56; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘ — 5-58-69; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 5-56-36, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 12-09; ᲧᲘᲗᲔᲚ�წᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 25-89.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ აისბერგსა ჰგავს — ზედაპირზე მისი მხოლოდ მეექვსედი ნაწილი ჩანს. მაყურებელი ხშირად მხოლოდ ამ მეექვსედს ხედავს. ძნელიც არის მას მოსცოლოგო შეუიარაღებელი თვალით მხოლოდ სპეციალისტისთვის ხილული მოვლენების აღქმა. მაგრამ სპეციალისტებიც თუ თვალთახედვის არიდან დაკარგავენ სპორტის სიღრმისეულ განზომილებას, ეს მძიმე შედეგს მოგვიტანს. შესაძლოა, ჩვენი სპორტული მოძრაობის მკვეთრი დაქვეითება, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ამ გაუბარალეული, ერთგვარად დილეტანტური მიდგომითაც აიხსნებოდეს.

ცხადია, ჩვენ ყველა ძალიან გაბვიდოთ, როგა, მაგალითად, ქართველი მძლეოსნებიდან ვერც ერთი ვერ იმარჯვებს საკავშირო სპარტაკიადაზე, მაგრამ ეს მხოლოდ გამოხატულებაა იმ საერთო სტრატეგიული ნაკლოვანებებისა და ზოგჯერ უმეზობისაც, რაც წლების მანძილზე გროვდება ხოლმე.

სპორტი და სტრატეგია... ეს ორი ცნება ურთიერთკავშირსაც გულისხმობს. ჯერ არსად და არასდროს ამა თუ იმ სახეობის სპორტი არ დაწინაურებულა რომელიმე ერთი, თუნდაც დიდად გამოჩენილი სპორტსმენის მეშვეობით. მკვიდრი და სტაბილური წარმატებანი მიიღწევა მხოლოდ მთელ ფრონტზე მუშაობით. ერთი მეწვრთნელი თუ ერთი სპორტსმენი ასეთი დიდი ამოცანის გადაწყვეტას ვერ შეძლებს.

როგორ მოვიქცეთ, უარი ვთქვათ ცალკეულ ტალანტებზე, ვარსკვლავებზე? არავითარ შემთხვევაში. ოღონდ ეს ვარსკვლავები უნდა გამოხატვდნენ ამა თუ იმ სახეობის მაღალ დონეს და ამაყ მარტოობაში არ უნდა იმყოფებოდნენ.

ჩვენი მარცხი ბოლო სპარტაკიადაზე — ეს არის ლოგიკური შედეგი ჩვენი სპორტის სტრატეგიის მცდარობისა.

ურემი რომ გადაბრუნდება, მერე ლაპარაკი ადვილია (თუმცა, თავს არავის ვაწონებთ და წინათაც, „ურმის გადაბრუნებამდეც“, ამაზე ხშირად დაგვიწერია), მაგრამ ახლა უთქმელობა საქმეს არ არგებს. უკეთესი იქნებოდა, თუ მოახლოებულ ზამთარს მაინც გამოვიყენებდით ჩვენი სპორტის პრობლემურ, საჭირბოროტო საკითხებზე სჯა-ბაასისათვის, პირუთვნელი ანალიზისა თვის, გვეთქვა ჩვენ მიერ დაშვებულ შეცდომებზე... ერთი სიტყვით, უნდა დავუთრუნოთ ჩვენს სპორტს გულსხდილობისა და გულწრფელობის ატმოსფერო.

ამ აზრით გამხნევებული, ჩემს თავს უფლებას მივცემ გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება ჩვენი სპორტის დღევანდელ სატკივართან დაკავშირებით. უფრო სწორად, ეს იქნება ხმამაღალი ფიქრები იმის შესახებ, რა სჭირდება ჩვენს ეროვნულ სპორტულ მოძრაობას.

1. თავიდანვე შევთანხმდეთ: სპორტული მოძრაობის საფუძველთა საფუძველი და უმთავრესი ფიგურა მწვრთნელია. არ მინდა გულუბრყვილო ანალოგიები ჩამოთვალონ, მაგრამ ნამდვილი მწვრთნელის გარეშე სპორტსმენთა ჯგუფი იგივეა, რაც კლასი უმასწავლებლოდ. ჩვენ განვიცდით კვალიფიციური მწვრთნელების მძაფრ დეფიციტს. ეს დაამტკიცა რამდენიმე სპარტაკიადამ, აგრეთვე მრავალრიცხოვანმა მასშტაბურმა, საკავშირო შეჯიბრებებმა სხვადასხვა სახეობის სპორტში.

რა მოვუხერხოთ ამ საჭიმნო პრობლემას, რომელმაც ისე დაგვწია უკან, რომ უკან დასახევი გზა აღარა გვაქვს? იმედია, სწორად იქნება გაგებული ეს აზრი საჭიროა, აუცილებელიც კი, ასეთ ვითარებაში შერჩევის წესით მოვიწვიოთ მოწინავე, პროგრესული მწვრთნელები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა თვალსაჩინო სპორტული ცენტრიდან. უწინარეს ყოვლისა, იმ სახეობათა სპორტში, რომელიც წლიდან წლამდე ქრონიკულად ჩამორჩება. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომელ სახეობებზეც არის საუბარი. რა სარგებლობას მოგვიტანდა ეს? მოწვეული მწვრთნელები მოიტანენ ჭეშმარიტი პროფესიონალიზმის სულისკვეთებას, ნამდვილად საქმიან დამოკიდებულებას წვრთნის მეცნიერული მეთოდიების დამკვიდრების თვალსაზრისით, დაენერგავდნენ სპორტსმენთა სელექციის, აღმზრდელობითი პროცესის, შეჯიბრებების მონაწილეობის მართებულ პრაქტიკას, იზრუნებდნენ ახალგაზრდა სპორტსმენების დაწინაურებასა და მათი შედეგების საკავშირო სტანდარტებამდე გატოლებისათვის. ეს ხელეწიფებათ მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელებს. ამ პრაქტიკას ფართოდ იყენებს ყველა რესპუბლიკა, რომლებმაც გაგვისწრეს საკავშირო სპარტაკიადაზე. მეტიც, მოწვეული უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელების გამოყენების პრაქტიკას ყველა ძლიერი სპორტული სახელმწიფო იყენებს. არც მომე რესპუბლიკებში, არც უცხოეთში ეს სათაკილოდ არ ითვლება. პირიქით, ეს მიჩნეულია პროგრესისა და წინსვლის უცილობელ პირობად.

ამ პრობლემის ანუ მედლის მეორე მხარე: ასევე (თუ მეტად არა) საჭირო და აუცილებელია ჩვენი სპორტის სასიცოცხლო ინტერესებისათვის კვალიფიციურ მწვრთნელთა მრავალრიცხოვანი კადრების ჩვენშივე მომზადება. მოწვეული მწვრთნელების იმედზე ჯერ დავრჩებით. სხვათა შორის, იმავე მოწვეული მწვრთნელების მუშაობა ჩვენში ხელს შეუწყობს საერთოდ რესპუბლიკაში მწვრთნელთა მძლავრი ინსტიტუტის შექმნასაც. ამავე დროს ფართოდ უნდა დაინერგოს ჩვენი ახალგაზრდა, პერსპექტიული მწვრთნელების ხანგრძლივი დროით მივლინება კვალიფიკაციის ამაღლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისათვის ქვეყნის მრწინავე სპორტულ ცენტრებში (ეს არ უნდა აგვერიოს ეგრეთ წოდებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სადაც მწვრთნელები ფორმალურად გადიან თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, სინამდვილეში კი ამ ხანმოკლე გამგზავრებას თითქმის არავითარი სარგებლობა მოაქვს არც მათთვის, არც ჩვენი სპორტისათვის).

ჩვენს სპორტს სერიოზულად შეუშალა ხელი, უფრო მეტიც, აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანა ერთ პერიოდში გავრცელებულმა განუკითხაობისა და უკონტროლობის ატმოსფერომ. — ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება მწვრთნელთა სუსტ, უხერხემლო მუშაობას. დარღვეული იყო სისტემა და კრიტერიუმი მათი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემოწმებისა, არავინ არავის ეკითხებოდა, ვინ რამდენი სპორტსმენი გამოზარდა, ვინ მისცა შვესება რესპუბლიკის ნაკრებს? მოწვეული მწვრთნელები მოიტანენ ჭეშმარიტი პროფესიონალიზმის სულისკვეთებას, ნამდვილად საქმიან დამოკიდებულებას წვრთნის მეცნიერული მეთოდიების დამკვიდრების თვალსაზრისით, დაენერგავდნენ სპორტსმენთა სელექციის, აღმზრდელობითი პროცესის, შეჯიბრებების მონაწილეობის მართებულ პრაქტიკას, იზრუნებდნენ ახალგაზრდა სპორტსმენების დაწინაურებასა და მათი შედეგების საკავშირო სტანდარტებამდე გატოლებისათვის. ეს ხელეწიფებათ მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელებს. ამ პრაქტიკას ფართოდ იყენებს ყველა რესპუბლიკა, რომლებმაც გაგვისწრეს საკავშირო სპარტაკიადაზე. მეტიც, მოწვეული უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელების გამოყენების პრაქტიკას ყველა ძლიერი სპორტული სახელმწიფო იყენებს. არც მომე რესპუბლიკებში, არც უცხოეთში ეს სათაკილოდ არ ითვლება. პირიქით, ეს მიჩნეულია პროგრესისა და წინსვლის უცილობელ პირობად.

ამ პრობლემის ანუ მედლის მეორე მხარე: ასევე (თუ მეტად არა) საჭირო და აუცილებელია ჩვენი სპორტის სასიცოცხლო ინტერესებისათვის კვალიფიციურ მწვრთნელთა მრავალრიცხოვანი კადრების ჩვენშივე მომზადება. მოწვეული მწვრთნელების იმედზე ჯერ დავრჩებით. სხვათა შორის, იმავე მოწვეული მწვრთნელების მუშაობა ჩვენში ხელს შეუწყობს საერთოდ რესპუბლიკაში მწვრთნელთა მძლავრი ინსტიტუტის შექმნასაც. ამავე დროს ფართოდ უნდა დაინერგოს ჩვენი ახალგაზრდა, პერსპექტიული მწვრთნელების ხანგრძლივი დროით მივლინება კვალიფიკაციის ამაღლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისათვის ქვეყნის მრწინავე სპორტულ ცენტრებში (ეს არ უნდა აგვერიოს ეგრეთ წოდებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სადაც მწვრთნელები ფორმალურად გადიან თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, სინამდვილეში კი ამ ხანმოკლე გამგზავრებას თითქმის არავითარი სარგებლობა მოაქვს არც მათთვის, არც ჩვენი სპორტისათვის).

ჩვენს სპორტს სერიოზულად შეუშალა ხელი, უფრო მეტიც, აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანა ერთ პერიოდში გავრცელებულმა განუკითხაობისა და უკონტროლობის ატმოსფერომ. — ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება მწვრთნელთა სუსტ, უხერხემლო მუშაობას. დარღვეული იყო სისტემა და კრიტერიუმი მათი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემოწმებისა, არავინ არავის ეკითხებოდა, ვინ რამდენი სპორტსმენი გამოზარდა, ვინ მისცა შვესება რესპუბლიკის ნაკრებ

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲤᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲘᲤᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲛᲔᲢᲘ ᲨᲠᲣᲜᲕᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რითაც ჯერჯერობით დასაკვეთნი მაინდამაინც ბევრი არაფერი გვაქვს. საკითხი ასე დავსვათ: ვინ უნდა უმზადებდეს კადრებს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებს? ჯერჯერობით ეს საქმე თითქმის მთლიანად განთლების სისტემას აქვს მინდობილი. თუ გვინდა მოზრდილთა სპორტის ფეხზე დაყენება, უფრო სერიოზულად უნდა ვიფიქროთ მის საძირკველზე — ბავშვთა სპორტზე. ამ საქმეს კი მარტო განთლების სამინისტრო ვერ გასწვდება. ეს დაამტკიცა დრომ. ამიტომ საჭიროა ბავშვთა სპორტზე მაქსიმალურად იზრუნონ სპორტულმა საზოგადოებებმა, ორგანიზაციებმა და უწყებებმა.

9. ასევე უდიდეს და უმნიშვნელოვანეს რეზერვად გვესახება სპორტის განვითარება საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ ბოლო ხანს საქართველოს ნაკრებ გუნდებში სულ უფრო მეტრდება რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა წარმომადგენლობა. ეს მნიშვნელოვნად ასუსტებს ჩვენს სპორტულ პოტენციალს.

კიდევ ორიოდე სიტყვა ამ საკითხზე: ჩვენი ღრმა რწმენით, ადგილებზე სპორტული მუშაობის თვალსაჩინო გაექტიურებისა და ეკონომიკურ-ეკონომიკურ ეფექტიანობისათვის აუცილებელია ქალაქებსა და რაიონებში ახალგაზრდა, ნიჭიერი, ენთუზიასტი მწვრთნელებისა და სპეციალისტების მივლინება. პროფესიულ ჩვევებთან ერთად მათ უთუოდ უნდა ჰქონდეთ ორგანიზატორული ნიჭი და შემართება, სიძნელეებთან ბრძოლის უნარი. მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით ეცდნელოვანი ენთუზიაზმიც კი დაიშრიტება, თუ ახალგაზრდა სპეციალისტებს ადგილებზე კომპეტენტურმა ორგანიზაციებმა სათანადო პირობები არ შეუქმნეს მუშაობისა და ცხოვრებისათვის.

10. ზედმიწევნით ცუდად გვაქვს საქმე ქალთა სპორტში. ეს ერთი და ორი წლის ჩამორჩენა არ გასწავთ, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. ბოლოს და ბოლოს განსაკუთრებით VIII სპარტაკიადის გაკვეთილების შემდეგ, როგორმე უნდა მოვეძოს ამ პრობლემასაც (ბავშვთა და სტუდენტური სპორტის განვითარების ხარჯზე). ქალთა სპორტმა ჩვენს რესპუბლიკაში თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიმკვიდროს.

11. აუცილებელზე აუცილებელია გავიზიაროთ ის მოწინავე გამოცდილება, რომელიც დაგროვეს მოძმე რესპუბლიკებმა და სოციალისტურმა ქვეყნებმა სპორტის სფეროში. უამისოდ ჩვენ შეიძლება დავემსგავსოთ სულხანსაბას მყვარს, საკუთარ გუბეში რომ ამოხმა.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ.



ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ...

ᲔᲡ მკვიდრი, წითელი აგურის შენობა აქ აღმართა, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ბაობი იყო. თავდადებული შრომით ადამიანებმა გარდაქმნეს კოლხეთის ეს კუთხე. სოფელ პირველი ხორგის სამსართულიანი სკოლა ერთ-ერთი ულამაზესი იქნება ხობის რაიონში.

სოფლის საშუალო სკოლაში, რომელიც აქაური მკვიდრის, ცნობილი ქართველი საბჭოთა პოეტის ალიო მირცხულავას სახელს ატარებს, შექმნილია ნაყოფიერი სწავლის ყველა პირობა — ნათელი, ფართო საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, დიდი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲨᲘ: ათწლიანი სკოლა სოფელ პირველ ხორგაში; ინტერესით უსმენენ მეცხრეკლასელები ფიზიკის გაკვეთილს, რომელსაც გიგლა ოობაძე ატარებს.

Ი. ᲞᲝᲢᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის კორ.).

ᲒᲖᲐᲚᲐᲒᲖᲐ, ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲚᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲪᲧᲐ-ᲞᲐᲠᲚᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲐᲙᲚᲘᲐ

ᲓᲦᲔᲗᲘ დღე მშვენდება და ლამაზდება სოხუმი, ახალმშენებლობათა ბარაჩოებშია იგი. ქალაქს შეემატა ახალი ქუჩები და მოედნები, დიდი მუშაობა ბიმდინარეობს ძველის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის, ერთი სიტყვით, გაკეთებული ბევრია, მაგრამ სილამაზის გვერდით ზოგჯერ ვხვდებით მუქ ჩრდილებსაც, რომელთა გამოსწორება უფრო მეტ პეწსა და ლაზათს შემატებს სოხუმს.

ჩვენი რეიდის მიზანიც სწორედ ნაკლოვანებათა ¡გამოვლინებაა და ვისაუბრებთ იმაზე, რაც ერთი თვალის გადავლებით შევნიშნეთ.

სოხუმელებისა თუ დასასვენებლად ჩამოსულ მრავალრიცხოვან სტუმართა საყვარელი ადგილი იყო სოხუმის მთა. ოცდაათიოდე წლის წინათ მისი უნიკალური ტყე-პარკის გასაშენებლად, რომლის ტერიტორია 160 ჰექტარს აღემატება, აფხაზეთის მშრომელებმა უდიდესი შრომა გასწიეს. სოხუმელებს კარგად ახსოვთ, რომ ეს ობიექტი თავის დროზე სახალხო მშენებლობად იყო გამოცხადებული. მას აფხაზეთის მშრომელებთან ერთად მთელი დასავლეთ საქართველო აშენებდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტყე-პარკის ერთი კუთხე რამდენიმე წლის წინათ აფხაზეთის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად იქნა აღიარებული. და რაოდენ დასანანია, რომ მშრომელთა დასვენების ამ საუკეთესო კერას დღეს მზრუნველი ხელი აკლია და უპატრონობა ეტყობა.

მოუვლელია თვით ტყე-პარკის ნარგაობა, ბევრგან იგი ეკალ-ბარდოთაა დაბურული, ტერიტორია შემოუკავებელია და მოსახლეობის პირუტყვი თავისუფლად დათარეშობს, ანადგურებს ძვირფას ნარგავებს.

ტყე-პარკის უმაღლეს წერტილზე, საიდანაც მთელი ქალაქი ხელისგულივით ჩანს, თავის დროზე რესტორნის შესანიშნავი ნაგებობა აშენდა. მაგრამ დღეს იგი გულსაკლავად გამოიყურება. ნაგავი რომ ნაგავია, ისიც არ გააქვთ დროულად. ამ რამდენიმე წლის წინათ აღნიშნული რესტორნის ქვედა მოედანზე ახალგაზრდული კაფე გაეშენეს. პირველ ხანებში ის ამართლებდა თავის დანიშნულებას, მაგრამ ახალგაზრდული კაფე დღეისათვის ჩვეულებრივ რესტორნად გადაიქცა და ტარის სიმრავლითა და სხვა სიბინძურით ეს რესტორანი ანაგვიანებს და აფუჭებს ტყე-პარკის ხედს.

რესტორანთან ერთად იმთავითვე აქ საზაფხულო კინოთეატრი გაშენდა და დასასვენებლად ამოსული ხალხი საღამოობით კინოფილმებს ნახულობდა. კულტურის ეს ერთადერთი კერაც, როგორც ქალაქის კინოფიკაციის დირექციის მესვეურებმა აგვიხსნეს, „არარენტაბელობის“ ამ უბანს და რამდენიმე წელია სოხუმის მთაზე აღნიშნული მარშრუტის ავტობუსი არ გამოჩენილა.

რეიდის მონაწილეებმა დავათვალიერეთ ქალაქის ცენტრალურ უბნებში მდებარე პარკებიც. მესამე წელია, რაც გიხსნეს პიონერთა და მოსწავლეთა აფხაზეთის რესპუბლიკური პარკი. აქვე სპორტული კოლო (მას პარკის ტერიტორიის ერთი მესამედი უკავია) და საბავშვო ბაღიც.

პარკის ცენტრში არის თვითმფრინავის ბორტგამცილებლის ნადენედა კუთრნეკოს საფლავი და ძეგლი. და რა გულდასაწყვეტია, რომ პარკს მოუვლელობა და უპატრონობა ეტყობა, გაზონებს გუნდებს, „გამოდნა“ თუ არა საერთოდ რაიმე ამა თუ იმ მწვრთნელის მრავალწლიანი მუშაობიდან.

უმაცრესი კონტროლის დაწესებაა საჭირო იმ მწვრთნელებისა და მათი მუშაობისადმი, რომლებიც სასიკეთოს ვერაფერს აძლევენ ქართულ სპორტს; ჯერ კონტროლი, ხოლო შემდგომ, თუ მედგეს ვერ გვიჩვენებენ —თავაზიანი უარი მათს სამსახურს. ბოლოს და ბოლოს, საქმე ეხება არა ერთი რომელიმე მწვრთნელის, არამედ რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის უზენაეს ინტერესებს. არ შეიძლება ამ ინტერესებს შევწიროთ და ვანაგვალოთ უნიერო მწვრთნელებისა და სპეციალისტების ამბიციები. ყველა თვალსაჩინისთ, მათ შორის, ჰუმანურობისა და მაღალი მორალის პოზიციებიდან, რაციონალური ღონისძიებანი გამართლებული იქნება (თანაც, დაბალი კვალიფიკაციის მქონე ან, სულაც უსაქმურ, მუშაკს სჯობია სულ არ გვყავდეს იგი...).

2. უაღრესად უნიადაგო და პრაქტიკულ დანიშნულებას მოკლებულ საქმედ მესახება გაუთავებელი მსჯელობა და დავა-კამათი სპორტული ბაზების უამრობის შესახებ. თუ საქმე საქმეზე მიდგა, ნებისმიერ რესპუბლიკას შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია ამ მხრივ, მაგრამ ყველა ახერხებს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ამ პრობლემის გადაწყვეტას. ჩვენ დავიჩეჩეთ, „ბაზები“ და „ბაზები“ —მაშინაც კი, როცა ამა თუ იმ ქალაქსა თუ რეგიონს ეს ბაზები საკმარისად აქვს. ბაზების ნაკლებობაზე საუბრის მიღმა ხშირად იმალება ორგანიზაციულ-საწვრთნელო მუშაობის სისუსტე და საკუთარი უმწეობა, მე ვიტყოდი, უკარგესად ჰასუხია, „ვირეშმაკური“ პოზიცია: ბაზა ჯრა გვაქვს და ვერც ვერავინ მოგვთხოვს საჭირო შედეგსო. მოკლედ, ამ „მიზეზ-მიზეზ, დოს ლია“-ს პრინციპით მა ბაზა საკუთარი ლობისაგან თავის დაძვრენის გზად გვიქცეს.

რა გვაძლევს ასეთი განცხადების საფუძველს? ის, რომ თბილისის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტული ბაზები ძალიან ხშირად ვერ ასრულებენ თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას და უქმად არიან.

ეს ყოვლად შეუწყნარებელია. ბაზები მართლაც არა გვაქვს თავზე საყრელად, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რაც გვაქვს, იმასაც ვერ ვიყენებთ, ვფლანგავთ დროსაც და საშუალებასაც.

ჩემი აზრით, მკაცრი, ეფექტიანი საკონტროლო სისტემა უნდა შემოვიღოთ სპორტული ბაზების სრული სიმძლავრით ასამოქმედებლად, რათა ისინი იქცნენ ჩვენი სპორტული მოძრაობის ჭეშმარიტად სასიცოცხლო არტერიებად.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეგვზღუდოს და შეგვბორკოს ვიწროფუფბრივმა ინტერესებმა, რომელთა მიზეზებითაც ძალიან ხშირად ბაზებს სრულად ვერ ვიყენებთ, რამეთუ ისინი ამა თუ იმ სპორტული საზოგადოების კუთვნილებაა და სხვას იქ არ მიესვლება. მერედა, ვინ არის ეს „სხვა“? — მეზობელი, მონათესავე სპორტული საზოგადოების წარმომადგენელი, რომელსაც საკუთარი ბაზა არ გააჩნია და სხვა საშუალება არ მოეძებნა, თუ არა გამოთავისუფლებულ ბაზაზე დროდადრო ვარჯიშისა.

ეს „სხვა“ ისევ და ისევ ჩვენია, შინაურია, რომელიც ხვალზეგ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავს. ყველამ კარგად უნდა დავიხსომოთ, რომ „სხვისი“ სპორტსმენი რესპუბლიკის ფარგლებში არ არსებობს: ყველა ჩვენია და ერთმანეთს უანგაროდ უნდა გავუმართოთ ხელი.

3. სასწრაფოდ უნდა ამოქმედდეს სრული ძალით საკოორდინაციო-ანალიზური „ჯგუფი (ალბათ, რესპუბლიკის სპორტკომიტეტთან), რომელსაც დაევალება ამა თუ იმ სპორტული საზოგადოების, უწყების, ნაკრები გუნდების მუშაობის შემოწმება და მოძიებული მასალების ოპერატიული ანალიზი. ეს საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევაფ